2023 წლის ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის

გარემოს დაცვის კომისიის წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის

ნინო ვარდოსანიძის

ანგარიში

ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით თვითმმართველობის ორგანოთა არჩევა ხდებოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით.

საქართველოში თვითმმართველობის განხორციელების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით, ევროპული ქარტიით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩეულ პირებს, აქვთ ვალდებულება ყოველწლიურად უზრუნველყონ მოქალაქეთა ინფორმირება, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

წინამდებარე ანგარიში, მე, როგორც საკრებულოს წევრს, მაძლევს შესაძლებლობას წარმოვადგინო 2022-2023 წლებში განხორციელებული სამუშაოები.

ნინო ვარდოსანიძე

• თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ხმის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ, ოთხი წლის ვადით.

თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა თბილისის საკრებულო, რომელიც უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საკრებულოს რეგლამენტის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე ამომრჩევლებმა ოთხი წლის ვადით აირჩიეს დედაქალაქის საკრებულოს 50 წევრი, აქედან 40 წევრი - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 10 - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე.

VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 მუდმივმოქმედი კომისია:

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია
- განათლებისა და კულტურის კომისია
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია
- სატრანსპორტო საკითხთა კომისია
- გარემოს დაცვის კომისია
- სარევიზიო კომისია
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია
- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

4 ფრაქცია:

- ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
- ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ფრაქცია თბილისი საქართველოსთვის
- ფრაქცია ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება ურბანული დაგეგმარების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა ძირითადად მოიცავს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობას, ამასთან ერთად ვარ გარემოს დაცვის კომისიისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, ასევე, საქმიანობას, რაც დაკავშირებულია საკრებულოს და ფრაქციის ყოველდღიურ მუშაობასთან.

წლის განმავლობაში საკრებულოში 15 სხდომა ჩატარდა. საკრებულოს მიერ 113 დადგენილება და 649 განკარგულება იქნა მიღებული, აქედან 76 განკარგულება სახელდებასთან დაკავშირებით. წლის განმავლობაში ბევრი ახალი პროგრამა დაინიცირდა, რომლის განხილვაში და მხარდაჭერაშიც მივიღე მონაწილეობა. საკრებულოს მიერ წლის განავლობაში მიღებული მნშვნელოვანი გადაწყვეტილებებიდან და ახალი პროექტებიდან აღსანიშნავია:

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა. პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, ისე, პირველ რიგში მოსახლეობის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას, რადგან ამ სტატუსის მქონე შენობებში ცხოვრება ცვენი მოქალაქეებისთვის საფრთხის შემცველია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით სიახლეებიდან აღსანიშნავია ტაქსების რეფორმა, ავტოპარკისთვის ახალი ავტობუსების დამატება, მეტროსადგურების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია.

ჯანდაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება მოხდება ბიუჯეტიდან. რიგი პროგრამები წარმოადგენს სიახლეს თბილისის მაცხოვრებლებისთვის, რიგ შემთხვევებში კი მოხდა როგორც ბენეფიციართა, ისე დაფინანსების ზრდა.

უნდა აღინიშნოს სახრების ენდოპროთესიზირების პროგრამა, რომლის მიხედვითაც დაფინანსდება პაციენტის ოპერაცია; გაფანტული სკლეროზის პროგრამა, რომელიც 100% დააფინანსებს ბენეფიციართა მკურნალობას, ღვიძლის ტრანსპლატაციის პროგრამა და სხვა.

გარემოს დაცვის კომისიამ ჩაატარა 17 სხდომა, სადაც 92 საკითხის განხილვა მოხდა. გაიმართა შეხვედრები მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებთან. კომისიამ იმუშავა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების და გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საკითხებზე. მიმდინარეობს

აქტიური მუშაობა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთან ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით.

ჩატარდა **გენდერული თანასწორობის საბჭოს** 2 სხდომა და 4 სამუშაო შეხვედრა. საბჭო აქტიურად მუშაობს ყოველდღიურობაში წამოჭრილი პრობლემების წინ წამოწევაზე. საბჭოს საქმიანობა უმეტესად მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას და შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით მეორე წელია „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში აქტიურად ვსაუბრობთ სკრინინგის აუცილებლობაზე, ასევე ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, დასაქმება, ქალების პოლიტიკაში ჩართულობა და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა **ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს**“ 18 სხდომა, სადაც განხილული იქნა 26 საკითხი.

საქმიანობა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში

➢ კომისიის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება. ამავე კოდექსის მიხედვით გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას და მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, თბილისის დროშის, გერბის და სხვა სიმბოლოების დადგენის მიზნით თბილისის საკრებულოში შექმნილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

კომისიის პერსონალური შემადგენლობა დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისგან. კომისიის უფლებამოსილება და სხდომების პერიოდულობა განსაზღვრულია კანონმდებლობით, კომისიის დებულებითა და გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ დამტკიცებული წესით. ხსენებული წესი განსაზღვრავს როგორც სახელდების განხორციელების პროცედურულ, ასევე მიზანშეწონილობის დადგენისა და სახელწოდების შერჩევის პროცედურებს.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, როგორც დროებითმა სამუშაო ჯგუფმა საკრებულოში ფუნქციონირება 2006 წელს დაიწყო. სამუშაოების მოცულობის და მზარდი მომართვიანობის გათვალისწინებით 2010 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბების თაობაზე.

➢ კომისიის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 11 სხდომა ჩატარდა, სადაც 168 საკითხი იქნა განხილული. 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრის პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ, სახელდების თაობაზე 76 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - განკარგულება (იხ. დანართი) იქნა გამოცემული, რაც საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების 11 პროცენტია.



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხების შესწავლის და დამუშავების შემდგომ ინიციატივებს ამზადებს როგორც დაინტერესებული მხარეების მომართვის, ისე საკუთარი ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიას 150-ზე მეტი განცხადება წარედგინა. დაინტერესებულ პირთა მომართვიანობა ძირითადად უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას, ობიექტისთვის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სახელის მინიჭებას შეეხებოდა.

გარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული წერილებისა, კომისიის მიერ ასევე დამუშავდა ისეთი კორესპონდენციები, რომელთა საფუძველზეც ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საანგარიშო პერიოდამდე დაიწყო.

კომისიის მიერ განხილული 168 საკითხიდან თითოეულმა, სახელდების წესით და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად გაიარა დამუშავების სავალდებულო ეტაპები. თითოეულ საკითხზე შედგა მიმოწერა როგორც მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ისე საკითხთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა უწყებასთან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და სხვა).

➢ ჰერალდიკა

ქალაქის სიმბოლიკაზე მუშაობა კომისიის ერთერთ მიმართულებას წარმოადგენს. თბილისის გარდა ყველა მუნიციპალიტეტს აქვს კანონის შესაბამისად დამტკიცებული ქალაქის სიმბოლიკა. კომისიის ინიციატივით და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციებით დაიწყო თბილისის სიმბოლიკაზე და მისი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებაზე მუშაობა. ძირითადი საორგანიზაიო სამუშაოები ჩატარებულია და მომავალი წლის განმავლობაში საკრებულო ქალაქის ახალ სიმბოლიკას დაამტკიცებს.

➢ სახელმწიფო დროშის დღე

14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა. თარიღი სიმბოლურად საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღებას დაუკავშირდა.

ყოველი წლის 14 იანვარს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინაციით, საქართველო სახელმწიფო დროშას თბილისის საკრებულოს შენობის ისტორიული აივნებიდან გადმოჰფენს.

წელს, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს ინიციატივას სახელმწიფო ორგანიზაციები და კერძო სექტორის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. კამპანიის ფარგლებში, სახელმწიფო დროშები თავისუფლების მოედანზე მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, რედიქს ჯგუფის, „ქორთიარდ მარიოტისა“ და სასტუმრო „მონოგრაფის“ შენობებიდანაც გადმოიფინა.

➢ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახორციელებს თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმუშავა თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭებაზე, როგორებიც არიან:

- **ხელოვნებისა და კულტურის სფერო**
- გურამ დოჩანაშვილი
- ანზორ ერქომაიშვილი
- რევაზ გაბრიაძე
- გომარ სიხარულიძე
- კუური ჭოხონელიძე
- გიგა ბათიაშვილი
- ჯემალ ჭკუასელი
- მანანა ზედგინიძე
- თამარ ჭავჭავაძე
- ცეცილია წუწუნავა
- მარიამ აბრამიშვილი
- მიხეილ გაფრინდაშვილი
- მაია თომაძე
- ზაირა არსენიშვილი
- ზაზა ურუშაძე
- გიზო ჟორდანია
- გია ბადრიძე

- **სპორტსმენები**
- დავით ციმაკურიძე
- ქეთავან ლოსაბერიძე
- ჯემალ ცერცვაძე

- **მედიცინის სფერო**
- ვაჟა გვანცელაძე
- თამარ დეკანოსიძე
- მერი გელოვანი
- ლავრენტი მანაგაძე
- იან პრიბილი

- **აკადემიკოსები**
- თამაზ გამყრელიძე
- გივი ცინცაძე
- ნანა ხაზარაძე

- **მებრძოლები**
- გენერალი ნესტორ გარდაფხაძე
- გიორგი და ზვიად უგრეხელიძეები
- ზაალ დუმბაძე
- ზურაბ ბაკურაძე
- გოჩა აბაშიძე
- გურამ საღარაძე
- ზურაბ სოტკილავა
- გურამ მელივა
- თემურ ქევხიშვილი
- მარინე იაშვილი
- თამარ ვახვახიშვილი
- მედეა ღამბაშიძე
- ეროვნული გმირი ავთანდილ იოსელიანი
- შმაგი ხაიკაშვილი

- **ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან თანამშრომლობით**
- ალექსანდრე შიმკევიჩი
- ძმები სიმენსები
- ფარიხან სოფიევა

➢ გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება სახელდების პროცესში

2023 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, თბილისის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება წარმოადგენდა. არსებული დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით კომისიამ საანგარიშო წლის განმავლობაში საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთა იმ ქალების ღვაწლი, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ფართო საზოგადოებაში მივიწყებულია და მათი სახელები თბილისის ქუჩებს მიანიჭა.

კომისიის ინიციატივით თბილისის ქუჩებს შეემატა: კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის, მევიოლინე მარინე იაშვილის, საზოგადო მოღვაწის მედია ღამბაშიძის, ინჟინერის ბარბარე ბაირამაშვილის, მეზღვაურის იულია ფაილოძის, კალიგრაფ-გადამწერის მანანა ზედგინიძის, მფრინავების ნინა ხუბულავას და რუსუდან ჟორდანიას, მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძის, კრავაი ჯაყელის და სხვათა სახელები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მინიჭებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის ქუჩებიდან დაახლოებით 34% -ს მიენიჭა ქალის, ხოლო 66% -ს კაცის სახელი, რაც 12 % -ით აღემატება გასული წლის ანგარიშში ასახულ მონაცემებს.



გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ფარგლებში აღსანიშნავია გაეროს ქალთა ფონდთან პარტნიორობით წარმოებული კამპანია. „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, გაეროს ქალთა ფონდის, და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა საინფორმაციო

კამპანია „ქალები, რომლებიც არ არსებობენ“. კამპანიის ფარგლებში, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეირჩა 30 ქუჩა, სადაც საზოგადოებისთვის ხილვად ადგილებზე განთავსდა საინფორმაციო ხასიათის აბრა. ხსენებულ აბრებზე დატანილი იქნა ინფორმაცია, რომელიც გენდერულ დისკრიმინაციასთან და სტერეოტიპულ მიდგომებთან ბრძოლას ისახავდა მიზნად, ისეთ სტერეოტიპებთან, რომლებიც პროფესიებს გენდერული ნიშნით ჰყოფს. კამპანიის ფარგლებში, შეირჩა 30 ქალის ისტორია, რომლებსაც მოღვაწეობის გზაზე მსგავს სტერეოტიპთან ბრძოლა მოუწიათ. საინფორმაციო კამპანიის შემდეგ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებით ხსენებული ქალების სახელები თბილისის ქუჩებს მიენიჭა.

➢ პარტნიორობისა და გამჭვირვალობის პოლიტიკა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, საქმიანობის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორობას ისეთ უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაში არიან კომისიის უფლებამოსილების ჩარჩოსთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა თანამშრომლობა ისეთ უწყებებთან, როგორებიც არიან: თბილისის მერიის სამსახურები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეროვნული არქივი, ვეტერანების საქმეთა სამსახური, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, და სხვა.

პარტნიორობისა და გამჭვირვალობის კონტექსტში აღსანიშნავია:

მოქალაქეებთან ურთიერთობა

საქართველოში დემოკრატიული მმართველობა ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომ ინსტიტუციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აცნობიერებს საჯაროობისა და ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების განსამტკიცებლად. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია, საქართველოს კონსტიტუცია, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები პირდაპირ და ირიბად მოიაზრებს მოქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, გარდა მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით გაწერილი შესაძლებლობებისა კომისიას დამატებით ავალდებულებს თითოეულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საჯარო განხილვის და საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის შემდგომ. ამ უფლების რეალიზებისთვის კომისიის

სხდომის დღის წესრიგი, შესაბამის მასალებთან ერთად ქვეყნდება საჯაროდ, არანაკლებ 20 დღის ვადით და მხოლოდ ამის შემდგომ კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომა. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომისიის სხდომებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ ყველა საკითხი აღნიშნული პროცედურების დაცვით განიხილა. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე განხილვები გაიმართა უშუალოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც სახელდება განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეებთან ურთიერთობა და ჩართულობა განხორციელდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: კომისიის მიერ საკითხების საჯაროდ განხილვა; მოქალაქეებთან შეხვედრები, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ კონკრეტულ პრობლემურ ლოკაციებზე; სატელეფონო კომუნიკაცია; სოციალური ქსელი; წერილობითი მომართვიანობა.

აღნიშნულ პერიოდში გაიმართა საკითხების საჯაროდ განხილვის სამი სხდომა, რომლის მუშაობაშიც დაინტერესებულმა მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა.

საკრებულოში მოსულ ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში შეხვედროდა, კომისიის თავმჯდომარეს და მის აპარატს. ხსენებული შესაძლებლობით დაახლოებით ასმა მოქალაქემ ისარგებლა. მომართვიანობა ძირითადად მისამართის დაზუსტებას, კონსულტაციის გაწევას, გზათა ქსელების მომზადების, ტერიტორიის იდენტიფიცირების და ღვაწლის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას შეეხებოდა.

სატელეფონო კონსულტაცია დაახლოებით 500 მოქალაქეს გაეწია. აქტიურად ხდება მომართვა სოციალური ქსელის საშუალებით, რა დროსაც დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდებათ. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს თანამშრომლები რეგულარულად ახორციელებენ მისამართებისა და გეოგრაფიული ობიექტების ადგილზე დათვალიერებას, ფაქტობრივი მდგომარეობის შედარებას რუკებზე ასახულ ინფორმაციასთან, ქუჩაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების მოსაზრებების მოსმენას და კომისიის ინფორმირებას.

პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პროცესი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიმართულებით მოიცავს დამისამართებას და ქუჩისთვის სახელმწიფო/საზოგადო მოღვაწის ან ისტორიული მოვლენის/თარიღის და ტოპონიმური სახელწოდების მინიჭებას. დამისამართების კომპონენტში კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ობიექტის ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრისა და სამისამართე აბრების განთავსების ნაწილში. სახელწოდების შერჩევის მიმართულებით კი კომისია პარტნიორობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ეროვნულ არქივთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან. მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის, გამოყენებისა და გამოსახვის წესების შემუშავების კომპონენტში კი კომისია მუდმივ

კომუნიკაციაშია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

პარტნიორობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან. ერთობლივად განხორციელდა 80-ზე მეტი გეოგრაფიული ობიექტის განვითარების არეალის შესწავლა, საზღვრებისა და პარამეტრების დადგენა. ხსენებული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები რაც საკრებულოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს დაერთო. სამსახურთან ერთად სახელდება დასრულდა ისეთ პრობლემურ ტერიტორიებზე, რომელთა დამისამართების პროცესიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა (ფონიჭალის დასახლება).

პარტნიორობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახური 2023 წლის კომისიის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრება. უწყებასთან არსებული შეთანხმების შესაბამისად კვლავ გაგრძელდა ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობა და ამა თუ იმ ობიექტთან დაკავშირებით მოქალაქის მიმართვის საფუძველზე უწყებები ელექტრონულად ცვლიან ინფორმაციას დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი გადამისამართებების და ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამისამართო სამსახურის მიერ დამისამართების თაობაზე წარდგენილ ათობით განცხადებაზე მოხდა რეაგირება. ვინაიდან განცხადებათა რაოდენობა მოიცავდა სრული ქუჩის ნუმერაციას საერთო ჯამში წლის განმავლობაში მისამართი მიენიჭა დაახლოებით 7000 საკადასტრო ერთეულს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან თანამშრომლობის ფარგლებში, დამისამართების საკითხებზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრა გაიმართა დამისამართების საკითხებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო კონსულტანტებთან.

პარტნიორობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან

თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით სამისამართე აბრების დამზადებისა და განთავსების მიმართულებით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

ვინაიდან აბრის განთავსებამდე ხდება ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ერთობლივ კომუნიკაციაშია მერიის ხსენებულ სამსახურსა და სამისამართო სამსახურს შორის. ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ქუჩაზე აბრების განთავსების პროცესს

იწყებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან შეთანხმებით. კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა იმ ქუჩების პრიორიტეტების განსაზღვრაში, სადაც აბრების მონტაჟი განხორციელდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საშუალოდ 10000 აბრა განთავსდა.

პარტნიორობა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან

საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებით ადგენს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინაციის აუცილებლობას. მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან მათი სიმბოლიკა ჰერალდიკის საბჭოსთან შეათანხმონ. ხსენებული მიზნის უზრუნველსაყოფად 2023 წლის განმავლობაში, ჩემი, როგორც შესაბამისი კომისიის თავჯდომარის ინიციატივით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარისა და თბილისის მერის მოადგილის მონაწილეობით, საბჭოსთან რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ხსენებული სამუშაოები გაგრძელდება 2024 წლის ფარგლებშიც და კონკურსის წესით განხორციელდება თბილისის ახალი სიმბოლიკის შერჩევა.

პარტნიორობა დეველოპერებთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ისეთი ტერიტორიების დამისამართება, სადაც განაშენიანების პროცესი მიმდინარეობს, რათა მოქალაქეებს არ შეექმნათ უმისამართობით გამოწვეული პრობლემები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია აქტიურ დახმარებას უწევდა სს „ლისი დეველოპმენტს“ და „m2“-ს.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის შემდგომი ეტაპის პარალელურად მიზანშეწონილია წარმოქმნილი გზათა ქსელის სახელდება. კომისიამ ტერიტორია ადგილზე შეისწავლა. მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად დაპროექტდა ხსენებული ქსელი და საკითხი უკვე ინიცირებულია სახელდებისთვის. მარშალ გელოვანის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელდების მიზნით კი განსახორციელებელი სამუშაოები პირველ ეტაპზეა და მიმდინარეობს კონსულტაციები.

➢ საერთაშორისო ურთიერთობები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლობებთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტის მერიის საგარეო ურთიერთობების განყოფილებასთან. თანამშრომლობის ფარგლებში თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ობიექტებს ენიჭება უცხო ქვეყანასთან დაკავშირებული სახელი, საპირწონედ, მოცემულ ქვეყანაში საქართველოსთან ან თბილისთან დაკავშირებული სახელის მინიჭება ხორციელდება. ხსენებული თანამშრომლობის ფარგლებში არაერთ ქვეყანაში მოეწყო ქართული თემატიკით დატვირთული ობიექტი და პირიქით. საანგარიშო წლის განმავლობაში თანამშრომლობა შედგა საბერძნეთის, ჩეხეთის, ყირგიზეთის წარმომადგენლებთან.

- გასული წლის განმავლობაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურად მუშაობდა თბილისში ერთ-ერთი სკვერისთვის საბერძნეთის სახელის მინიჭების საკითხზე. ისნის რაიონის მაჟორიტარ წევრთან კონსულტაციის შემდეგ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკვერის ხსენებულ რაიონში სახელდება.

- ასევე, კომისიის გადაწყვეტილებით, ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩას ჩეხი ექიმის, იან პრიბილის სახელი მიანიჭა. ქუჩა ჩეხეთის ელჩთან, პეტრ კუბერნატთან ერთად საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, კომისია აქტიურად მუშაობდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთ-ერთი სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

  ვინაიდან ყირგიზეთს საქართველოს ტერიტორიაზე საელჩოს შენობა არ აქვს, ელჩი უფლებამოსილებას აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ახორციელებს.

  2023 წლის 27 ოქტომბერს ელჩი კაირატ ოსმონალიევი საგანგებოდ იმყოფებოდა თბილისში. საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარ წევრთან და რაიონის გამგებელთან ერთად, რამდენიმე სკვერი ერთობლივად დავათვალიერეთ. ელჩთან კომუნიკაციის დროს ხაზი გაესვა ყირგიზეთში შოთა რუსთაველის სახელის პოპულარიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

დანართი

04.11.22	**555**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდისთვის **მწერლის გურამ დოჩანაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**556**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჭოროხის ქუჩისთვის **ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**557**	ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თბილისის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რეჟისორის, **მხატვრის რევაზ გაბრიაძის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**558**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვლადიმერ კანკავას ქუჩისთვის კომპოზიტორის, **ლოტბარის გომარ სიხარულიძის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**559**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევისთვის **ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**560**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და იორის შესახვევის მონაკვეთისთვის **არქიტექტორის გიგა ბათიაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**561**	ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სკვერისთვის მომღერლის, **მუსიკოსის ჯემალ ჭკუასელის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**562**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **მომღერლის ზურაბ ბაკურაძის** სახელის მინიჭების შესახებ
04.11.22	**563**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის **საბერძნეთის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**76**	ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხისთვის **კინომსახიობის გოჩა აბაშიძის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**77**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩისთვის **მსახიობის გურამ საღარაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**78**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის **ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

21.02.23	**79**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩისთვის **რეჟისორის გურამ მელივას** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**80**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის **ლოტბარის თემურ ქევხიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**81**	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**82**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის **ექიმ-უროლოგის, აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**83**	ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევისთვის **არქიტექტორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**84**	ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **ძმები სიმენსების ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**85**	ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის **სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**86**	ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩისთვის და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთისთვის **საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**87**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის **აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**88**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის **აფხაზეთის ომში მებრძოლის თორნიკე ქურდაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**89**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის **მწერლის დემნა შენგელაიას** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**90**	ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზაალ დუმბაძის ქუჩისთვის **გერგეტის შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ

21.02.23	**91**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **პოლკოვნიკის ზაალ დუმბაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**92**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხისთვის **ქერჩის ქუჩის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**93**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის და შესახვევებისთვის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად **მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**94**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, **ალექსი შიუკაშვილის ქუჩის გაგრძელების** შესახებ.
21.02.23	**95**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევისთვის და უწერის II შესახვევისთვის **ლიბანის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
21.02.23	**96**	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, **ბეთანიის მონასტრის III შესახვევის გაგრძელების** შესახებ.
19.05.23	224	ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**225**	ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, **პროფესორის თამარ დეკანოსიძის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**226**	ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის **მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**227**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის **კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**228**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აშოტ კურაპალატის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**229**	ქალაქ თბილისში, ისნისა და სამგორის რაიონებში, უძოს ქუჩის შესახვევისთვის **საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**230**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის **ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ

19.05.23	**231**	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **მეზღვაურის იულია ფაილოძის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**232**	ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის **კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**233**	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის **ექიმის ბარბარე ყიფიანის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**234**	ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის **მსახიობების თამარ ჭავჭავაძის და ცეცილია წუწუნავას** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**235**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთებისთვის **მფრინავის ნინა ხუბულავას** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**236**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის **მფრინავის რუსუდან ჟორდანიას** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**237**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის **დიპლომატის რუსუდან მიქელაძის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**238**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქუჩისთვის **პოეტის მარიამ აბრამიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
19.05.23	**239**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის **მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის** სახელის მინიჭების შესახებ
25.08.23	**409**	ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის **პავლე საყვარელიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**410**	ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის **ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**411**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში,მელაანის I შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის **სპორტსმენის დავით ციმაკურიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**412**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის **მომღერლის მაია თომაძის** სახელის მინიჭების შესახებ.

25.08.23	**413**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის მონაკვეთისთვის **საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**414**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გარეკახეთის ქუჩისთვის **ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**415**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წურწუმიას შესახვევისთვის და დედოფლისწყაროს I შესახვევისთვის **საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**416**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერისთვის **მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**417**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩისთვის **ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**418**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და გიორგი ჩიტაიას ჩიხისთვის **ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**419**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა საკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის **მწერლის ზაირა არსენიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**420**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის **მნათობის I და II ჩიხების** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**421**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისთვის და ორხევის I გასასვლელისთვის დრამატურგის **გია ბადრიძის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**422**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის **ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**423**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის **აკადემიკოს ნანა ხაზარაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**424**	ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული II შესახვევისთვის **აკადემიკოს გივი ცინცაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**425**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის **მსახიობის ნინო დავითაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.

25.08.23	**426**	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთისთვის **მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**427**	ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩისთვის **რეჟისორის ზაზა ურუშაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**428**	ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩისთვის **საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**429**	ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის **რეჟისორის გიზო ჟორდანიას** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**430**	ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩისთვის **პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**431**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის, **2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**432**	ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის **სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**433**	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებული **ორი უსახელო შესახვევისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**434**	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთისთვის **ნაძვების I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ
25.08.23	**435**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, **ნატალია სამქანაშვილის ქუჩის გაგრძელების** შესახებ.
25.08.23	**436**	ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, **თეთრიწყაროს ქუჩის გაგრძელების** შესახებ.
25.08.23	**437**	ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის **ბოჭორმის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ.
25.08.23	**438**	ქალაქ თბილიში, ნაძალადევის რაიონში **აბესალომ ვეკუას** ქუჩის გაგრძელების შესახებ.